შპს პოლივიმი
POLYVIM LLC

+995 32 230 96 21
info@polyvim.com
www.polyvim.com
ID: 405261915

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბ-ნ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 11-ე მუხლის საფუძველზე, წარმოგიდგენთ, შპს „პოლივიმის" მიერ მომზადებულ პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. ზემოხსენებული კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე, აღნიშნულმა პროექტმა გაიარა სკოპინგის პროცედურა და მასზე გაცემულია №59 04.12.2018 სკოპინგის დასკვნა. კომპანია გეგმავს წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, გარდაბანში, სოფელი მარტყოფში პოლიეთერის სინთეზური ბოჭკოს საწარმოს აშენებას, რომელიც ნედლეულის სახით მოიხმარს სუფთა პოლიეთილენ-ტერეფტალატის (PET) გრანულებს და PET ფანტელებს. კომპანია აწარმოებს ბოჭკოს ირანში და ამარაგებს როგორც ადგილობრივ ბაზარს, ასევე საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირის არაერთ ქვეყანას. პროექტის მიხედვით, კი იგეგმება აღნიშნული ქარხნის მოქმედი ხუთი საწარმოო ხაზიდან ერთ-ერთი მათგანის გადმოტანა საქართველოში.

სკოპინგის დაკვნის მიხედვით, მომზადდა შპს „პოლივიმის" თავდაპირველი პროექტის - პოლიეთილენ-ტერეფტალატის ბოთლების რეციკლირების და პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. სამინისტროში კომპანიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით, მიმდინარე წლის 13 მარტს წარდგენილია №3828 განცხადება. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, სამინისტრომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, გამოიკვეთა ახალი გარემოება, კერძოდ, შპს „პოლივიმსა" და შპს „ჩირინას" შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზე, კუმულაციური ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყდა, რომ შპს „პოლივიმი" ბოჭკოს წარმოების აღდგენის ხაზს გადაიტანს შპს "ჩირინას" ტერიტორიისგან მოშორებით, სხვა მუნიციპალიტეტში, რასთან დაკავშირებითაც დოკუმენტაცია ცალკე იქნება წარმოდგენილი. შესაბამისად, შპს „პოლივიმის" მიერ მომზადებულ გზშ-ს ანგარიშზე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არსებული ახალი მდგომარეობით ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი შემცირება, სამინისტროში წარსადგენად მომზადდა ახალი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც მოიცავს „შპს პოლივიმის" მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში (ს/კ 81.10.39.274; 81.10.39.275) ბოჭკოს წარმოების ხაზის ჩასატარებელ სამუშაო პროცესს და ჩატარებული კვლევების დეტალურ აღწერას. აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნის და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№6934
14 05 2019
2 ფ.
+ 02 +

დავით გამრეკელის ქ. 2; 0194 თბილისი, საქართველო
2. David Gamrekeli Str, 0194 Tbilisi, GEORGIA

შპს პოლივიმი
POLYVIM LLC

+995 32 230 96 21
info@polyvim.com
www.polyvim.com
ID: 405261915

წერილს თან ერთვის:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- გზშ-ს ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლარი;
- გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა)
- ამონაწერი სამეწარმეო და საჯარო რეესტრიდან;
- მიწის განაშენიანებისა და ნაგებობების განლაგების ძირითადი გეგმის ელექტრონული ვერსია;
- გზშ-ს ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები;

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „პოლივიმის" პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე.

დანართი: 1 დისკი

პატივისცემით,

შპს „პოლივიმის" დირექტორი

ქამრან ფარიზადმაშჰადი

..... 10/05/2019

დავით გამრეკელის ქ. 2; 0194 თბილისი, საქართველო
2. David Gamrekeli Str, 0194 Tbilisi, GEORGIA